



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მეტრეველი ალექსანდრე ირაკლის ძე

მეტრეველი ალექსანდრე ირაკლის ძე (დ. 2. XI. 1944, თბილისი), სპორტსმენი (ჩოგბურთი). სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1966). სსრკ-ის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ჩოგბურთელი. სსრკ საერთაშ. კლასის სპორტის ოსტატი (1965). უიმბლდონის ტურნირის ფინალისტი ერთეულ (1973), ორჯერ შერეული წყვილების თანრიგში ო. მოროზოვასთან ერთად (1968, 1970); უიმბლდონის ახალგაზრდული ჩემპიონატის ფინალისტი (1962); მოსკოვის ღია ჩემპიონატის გამარჯვებული (1963); ღიდი მუზარადის ტურნირებიდან – ავსტრალიისა (1972) და საფრანგეთის (1972) ღია პირველობის ნახევარფინალისტი; აშშ-ის ღია პირველობის მეოთხედფინალისტი (1974); ჰამში ATP-ის 5 ტურნირის გამარჯვებული ერთეულთა თანრიგში, სსრკ 29-გზის ჩემპიონი ერთეულებში (1966–67, 1969–76, 1978, 1980), წყვილებში (1967–68, 1970–76; 1980) და შერეულ წყვილებში (1970–73, 1975–76). სსრკ ხალხთა სპარტაკიადის აბსოლუტური (1975), სსრკ ჩემპიონი ახალგაზრდებში ერთეულთა თანრიგში (1961). კაცებში ერთადერთი საბჭ. ჩოგბურთელი, რ-მაც ღიდი მუზარადის ტურნირის ფინალში ითამაშა და მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელთა ათეულში მოხვდა (მსოფლიოს მე-9 ჩოგანი, 1974). 18 წლის განმავლობაში შედიოდა სსრკ საუკეთესო მამაკაც ჩოგბურთელთა ათეულში, აქედან 12-ჯერ დასახელდა პირველ ნომრად (1966–67, 1969–78). რეგულარულად მონაწილეობდა დევისის თასზე (105 მატჩი).

დაამთავრა თსუ-ის ჟურნალისტიკის ფაკ-ტი (1968). იყო საქართვ. ნაკრების მწვრთნელი (1981–82), სსრკ ჩოგბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, საქართვ. სპორტკომიტეტის თავ-რის მოადგილე (1982–87), საქართვ. სატელეგრაფო სააგენტოს მიმომხილველი (1988–92). მოღვაწეობა გააგრძელა მოსკოვში სპორტულ კომენტატორად (პრემია საუკეთესო რეპორტაჟისათვის, 2020). 1966 დასახელდა საქართვ. საუკეთესო სპორტსმენად.

მიღებული აქვს ქართ. სპორტის რაინდის წოდება (2014), დევისის თასის სპეც. მედალი (2015; Davis Cup Commitment Award) და სხვა სახელმწ. ჯილდოები. არის თბილ. (2017) და ავსტრალიის საპატიო მოქალაქე.
